პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 236 (9396) | შაბათი, 4 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში [illegible] გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან «პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტი»

დიდი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში

„პრავდის“ 3/X მოწინავე

დღეს „პრავდაში“ ჟურნალ „ბოლშევიკიდან“ გადმობეჭდილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამ ახალ კლასიკურ ნაწარმოებში გაერთიანებულია ამხანაგ სტალინის ნაშრომები ეკონომიკის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია 1951 წლის ნოემბრის დისკუსიასთან.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დიდი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში. ამხანაგ სტალინის ეს ახალი თეორიული შრომა რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის განუყოფელი ერთიანობის მკაფიო მაგალითია. ამ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ ნაწარმოებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

განაზოგადებს რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას, ამხანაგი სტალინი თანამედროვეობის ძირეული პრობლემების ღრმა გამოკვლევებით განუწყვეტლივ ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას ახალი მეცნიერული დებულებებითა და დასკვნებით. ამხანაგ სტალინის შრომები საბჭოთა ადამიანებს უჩვენებენ კომუნიზმის სრული გამარჯვების გზას, აღაფრთოვანებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს სასახელო საგმირო საქმეებისათვის სოციალიზმის მშენებლობაში, მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ამხანაგ სტალინის ახალი თეორიული ნაშრომები ქვეყნდება ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღმავლობით ეგებებიან საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას, რომელიც განსაზღვრავს პარტიის ამოცანებს თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე.

„ამჟამად, — ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ დაამუშავა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ძირეული საკითხები, მარქსისტულ ლიტერატურაში პირველად მოგვცა მისი ეკონომიკური კანონების ხასიათის ანალიზი, ჩამოაყალიბა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ძირითადი პირობები. შემოქმედებითად განავითარა რა მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრება, ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სხვადასხვა ანტიმარქსისტულ შეხედულებებს, გააკრიტიკა ცალკეული ეკონომისტების მცდარი მტკიცებანი.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა ხასიათი და მოქმედება სოციალიზმის ეკონომიკური კანონებისა, რომლებიც ობიექტური კანონებია და ასახავენ ეკონომიკური განვითარების პროცესებს, რომლებიც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ბუნებისა და საზოგადოების კანონები, შეიცნონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. ამიტომ მეტად არასწორია წარმოდგენანი იმის შესახებ, რომ სოციალიზმის პირობებში ადამიანებს შეუძლიათ მოსპონ ეკონომიკური კანონები და თავიანთი ნებით შექმნან სხვა კანონები ან „გარდაქმნან“ ისინი. ეკონომიკური კანონები, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, კი არ ისპობიან, არამედ ძალას კარგავენ ახალი ეკონომიკური პირობების გამო და ასპარეზს ტოვებენ, რათა ადგილი დაუთმონ ახალ კანონებს, რომლებიც ადამიანთა ნებით კი არ იქმნებიან, არამედ ჩნდებიან ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე.

მაგრამ საზოგადოება უძლური როდია კანონების წინაშე, მას შეუძლია შეიცნოს ეკონომიკური კანონები, დაეყრდნოს მათ და საზოგადოების ინტერესებისათვის გამოიყენოს ისინი. საზოგადოების ინტერესებისათვის ეკონომიკური კანონების გამოყენების მედრომე ყოველთვის და ყველგან არის მოწინავე კლასი, მაშინ როცა დრომოჭმული კლასები წინააღმდეგობას უწევენ ამას. საჭიროა საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეუძლია დაძლიოს ეს წინააღმდეგობა. ასეთი ძალა გამოინახა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით. ამით აიხსნება ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო დაემარცხებინა საზოგადოების ძველი ძალები, ხოლო საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიკურ კანონს სრული გასაქანი მიეცა სსრ კავშირში. საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიკურ კანონზე დაყრდნობით, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, საბჭოთა ხელისუფლებამ განასაზოგადოვა წარმოების საშუალებანი, მთელი ხალხის საკუთრება გახადა ისინი და ამით მოსპო ექსპლოატაციის სისტემა, შექმნა მეურნეობის სოციალისტური ფორმები. ეს კანონი რომ არ ყოფილიყო და საბჭოთა ხელისუფლება მას რომ არ დაყრდნობოდა, იგი ვერ შეასრულებდა თავის ამოცანას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

„სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.

ეს განსაზღვრა გვიჩვენებს სოციალიზმის უაღრესად ღრმა არსს, მის ბუნებას. მასში ხაზგასმით არის აღნიშნული სოციალისტური წარმოების მიზანი და ნაჩვენებია ამ მიზნის მიღწევის საშუალება. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი გამოხატავს სოციალიზმის დიდ უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე. სოციალისტური წარმოების მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი. სოციალისტური წარმოება ექვემდებარება ძირითად მიზანს— მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფას.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა საფუძველზე პარტია ეკონომიკის განვითარებას წარმართავს განუხრელი აღმავლობის გზით, უზრუნველყოფს სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას. პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ თვალნათლივ ასახავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს, კანონისა, რომელიც აღმოაჩინა და მეცნიერულად დაასაბუთა ამხანაგმა სტალინმა.

„მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, — აღნიშნულია დირექტივების პროექტში,— განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე“.

დაამუშავა რა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები, ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ გამოარკვია სოციალიზმის დროს სასაქონლო წარმოების თავისებურებანი. მან გააკეთა დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნა იმის შესახებ, რომ სოციალიზმის დროს ადგილი აქვს განსაკუთრებული გვარეობის სასაქონლო წარმოებას, უკაპიტალისტებო სასაქონლო წარმოებას, რომელსაც ძირითადად საქმე აქვს გაერთიანებულ სოციალისტურ მწარმოებელთა საქონელთან. ამ სასაქონლო წარმოების მოქმედების სფერო განისაზღვრება პირადი მოხმარების საგნებით. ამხანაგმა სტალინმა განმარტა, რომ სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებანი არ შეიძლება მივიჩნიოთ საქონლის კატეგორიად. განსაკუთრებული გვარეობის სასაქონლო წარმოების საჭიროება სოციალიზმის დროს იმით არის გაპირობებული, რომ არსებობს სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმა — სახელმწიფო (საერთოსახალხო) და საკოლმეურნეო.

კაპიტალიზმისაგან განსხვავებით სოციალიზმის დროს სასაქონლო წარმოება არ იწვევს კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობას. იგი ჩაყენებულია მტკიცე ფარგლებში ისეთი გამოხატვა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით. ამით აიხსნება ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო დაემარცხებინა საზოგადოების ძველი ძალები, ხოლო საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიკურ კანონს სრული გასაქანი მიეცა სსრ კავშირში. საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიკურ კანონზე დაყრდნობით, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, საბჭოთა ხელისუფლებამ განასაზოგადოვა წარმოების საშუალებანი, მთელი ხალხის საკუთრება გახადა ისინი და ამით მოსპო ექსპლოატაციის სისტემა, შექმნა მეურნეობის სოციალისტური ფორმები. ეს კანონი რომ არ ყოფილიყო და საბჭოთა ხელისუფლება მას რომ არ დაყრდნობოდა, იგი ვერ შეასრულებდა თავის ამოცანას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

„სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ასეთი ძალა გამოინახ

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის

ფრთიზნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წინადადება

ჩვენი პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი მთლიანად მოიცავს პარტიული მუშაობის ყველა უბანს, ასახავს კომუნისტური პარტიის მიერ მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებებს.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის განხილვისას კომუნისტებმა წამოაყენეს მთელი რიგი საყურადღებო წინადადებანი და შენიშვნები.

თეთრი წყაროს რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე ამხ. გ. ჭელიძემ გამოთქვა აზრი წესდების მეორე პარაგრაფში ნაცვლად წინადადებისა: „აქტიურად უწყობს ხელს მათს განხორციელებას“, ჩაიწეროს: „აქტიურად იბრძვის მათი განხორციელებისათვის“. ამხ. ჭელიძის შენიშვნა სამართლიანია, ვინაიდან პარტიის წევრი არა მარტო უნდა უწყობდეს ხელს პარტიის პროგრამისა და წესდების შესრულებას, არამედ თვითონაც უნდა იბრძოდეს მათი განხორციელებისათვის.

მესამე პარაგრაფში ზუსტად არის ფორმულირებული პარტიის წევრის მოვალეობა პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის საქმეში, გარკვევით არის მოცემული პარტიის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობის საკითხი და ხაზგასმულია, რომ პარტიაში არ შეიძლება იყოს ორი დისციპლინა.

პარტიაში მტკიცე დისციპლინის არსებობის აუცილებლობაზე მიგვითითებდნენ კომუნისტური პარტიის ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. ეს მითითებანი პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მესამე პარაგრაფში საწესდებო მოთხოვნას წარმოადგენენ.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის მე-11 პარაგრაფში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას უფლება არა აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ კომუნისტის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, რომელიც ზემდგომი პარტიული ორგანოს წევრია. ზოგიერთ ამხანაგს მიაჩნია, თითქოს მესამე და მე-11 პარაგრაფებს შორის წინააღმდეგობაა, რომ ამით თითქოს ერთგვარი საძვრომი რჩება პარტიული დისციპლინის დამრღვევთათვის. ამიტომ ისინი მოითხოვენ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტიდან მე-11 პარაგრაფის ამოღებას.

ჩემი აზრით, პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მე-11 პარაგრაფი სავსებით სწორია და უცვლელად უნდა დარჩეს. ზემდგომი პარტიული ორგანოს წევრს, ვთქვათ, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, რომელიც რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული ორგანოს — ყრილობის მიერ არის არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრად, ნდობას უცხადებს მთელი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია. პირველადი პარტიული ორგანიზაცია კი, რომელშიც შედის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მხოლოდ ნაწილია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისა, ვის მიერაც იგი არჩეულია ცენტრალური კომიტეტის წევრად. ამიტომ პარტიის რიგებიდან ცენტრალური კომიტეტის წევრის გარიცხვის შესახებ მსჯელობის უფლება უნდა ჰქონდეს იმ პარტიულ ორგანოს, რომელიც რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელია. ასეთი ორგანო კი თვით ცენტრალური კომიტეტია.

ამრიგად, თვით ცენტრალურ კომიტეტს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მისი წევრისათვის. თუ ცენტრალური კომიტეტის წევრი დანაშაულს ჩაიდენს, რის გამო მას პარტიიდან გარიცხვა ეკუთვნის, ხომ არ ფიქრობენ ეს ამხანაგები, რომ მას ცენტრალური კომიტეტი აპატიებს?

ამ მოსაზრებით სავსებით მიზანშეწონილად მიმაჩნია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში მე-11 პუნქტის უცვლელად დატოვება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიულ დისციპლინას.

კომუნისტური პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი ჩვენი პარტიის შემდგომი წინსვლისა და გამარჯვების საწინდარია. ეჭვი არ არის, რომ პარტიის მომავალი XIX ყრილობა მას ერთსულოვნად მიიღებს.

შ. ბურდული,
საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი.

ლოპოტის მარმარილოს წარმოების გაუმჯობესებისათვის

მდინარე ლოპოტის სათავე მაღალ მთებშია. ერთ მათგანს, რომელიც ზღვის დონიდან 1.850 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, „წოპის გორას“ ეძახიან. 25 წლის წინათ აქ საბჭოთა გეოლოგებმა იშვიათი ხარისხის მარმარილოს საბადოები აღმოაჩინეს.

უკანასკნელ ორ წელიწადში კარიერებამდე საავტომობილო გზა გაიყვანეს. ახლა აქ მექანიზმები გუგუნებენ. მარმარილოს ზოდების ბურღვას კომპრესორით ახდენენ. მექანიზმებმა მუშაობა გააადვილეს. წინა წლებთან შედარებით გამოშვებული პროდუქციის ოდენობა ერთი-ხუთად გაიზარდა.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვისას მარმარილოს დამუშავების ოსტატებმა საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს.

ბრიგადირმა ბ. ჩაბაკაურმა სურვილი გამოთქვა განხორციელდეს მარმარილოს ამოღების, დამუშავებისა და გამოზიდვის უფრო სრულყოფილი მექანიზაცია. ამ მიზნით „წოპის გორიდან“ მის ძირამდე 12 კილომეტრის მანძილზე გაკეთდეს მარმარილოს გადმოსაზიდი საბაგირო გზა, რაც გაათავისუფლებს ავტოტრანსპორტს, დაიჩქარებს გადმოზიდვას და გაიაიაფებს თვითღირებულებას.

სტახანოველმა ტ. ელოშვილმა განაცხადა: მარმარილოს კარიერებზე უამრავი ნარჩენები, მარმარილოს პატარა ნაჭრები რჩება, რასაც ხევში ყრიან და იკარგება. ამ დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით სასურველია „წოპის გორის“ ძირში მოეწყოს მარმარილოს ფხვნილის დამამუშავებელი ქარხანა, რომელიც შენობების მოსაპირკეთებლად მარმარილოს ფხვნილს მიაწვდის მშენებლობებს.

მარმარილოს დამამუშავებლებმა წინადადება წამოაყენეს აგრეთვე მუშათა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კარიერებზე გაიხსნას საბავშვო ბაღი, აშენდეს საავადმყოფოს და კლუბის შენობები.

ამ ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო გაადიდებს მარმარილოს ამოღებას, მის დამუშავებასა და მშენებლობებისათვის მიწოდებას.

ს. ჟოჟლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეღვინეობის განვითარების მომწიფებული საკითხები

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად საქართველოს მეღვინეობა სწრაფად იზრდება და ვითარდება. საბჭოთა ქვეყანა ყოველწლიურად სულ მეტი რაოდენობით იღებს მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს, ქართულ შამპანურს და ყურძნის სხვა პროდუქტებს.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს მევენახეობა-მეღვინეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. უნდა განხორციელდეს შრომატევადი სამუშაოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია და გადიდდეს ყურძნის მოსავალი 55-60 პროცენტით.

ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა ღვინის როგორც გამოსავლიანობის, ისე მისი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია დავაყენოთ ზოგიერთი საკითხი, რაც მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას და უმოკლეს დროში გადაწყვეტას. მაგალითად, ყურძნის დამზადებისას ანაზღაურება ხდება ყურძნის წონისა და შაქრიანობის მიხედვით. ამის შესაბამისად მეღვინეობის დამამზადებელ პუნქტებში ხდება ყურძნის აწონვა და ყურძნის წვენში შაქრიანობის განსაზღვრა. რადგან ყურძნის შაქრიანობა და ყურძნის წვენის შაქრიანობა ერთი და იგივე არ არის, ამიტომ ზუსტი ანგარიშიანობისათვის საჭიროა ყურძნის წვენის შაქრიანობა ყურძნის შაქრიანობაზე გადავიანგარიშოთ. ამ ფაქტის უგულებელყოფის გამო წარმოებას ექვს პროცენტამდე ზედმეტი შაქარი ეწერება.

დიდ ყურადღებას მოითხოვს ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე დანაკარგებთან ბრძოლის საკითხი. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია მეღვინეობაში არსებული ჯერ კიდევ აღურიცხავი და გამოუყენებელი რეზერვები მთლიანად გამოვიყენოთ.

სერიოზული ნაკლია ის, რომ არ ხდება მეღვინეობის ნარჩენების ზუსტი აღრიცხვა რაოდენობრივ-თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით. ეს ხელს უშლის საერთო აღრიცხვის მოწესრიგებასაც.

ნარჩენების რაოდენობრივ აღრიცხვასთან დაკავშირებით საჭიროა ვიცოდეთ, რომ თეორიულად ჭაჭის გამოსავალი ყურძნიდან 9-10 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, პრაქტიკულად კი ჭაჭის გამოსავალი დამოკიდებულია ყურძნის გამოწნეხვის მოწესრიგებასა და სრულყოფილებაზე. ფაქტია, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მუდმივმოქმედი წნეხები ხმარებაში არ იყო, ჭაჭის გამოსავალს ყურძნიდან 20-25 პროცენტს ანგარიშობდნენ. დღეს კი როცა ღვინის მრეწველობაში მასობრივად შემოღებულია უწყვეტი მოქმედების წნეხები, ჭაჭის გამოსავალი 12-16 პროცენტს არ აღემატება. ჭაჭიდან სპირტის გამოსავლიანობაზე მოქმედებს შენახვის პირობები, ხანგრძლივობა და სპირტის გამოხდის წესი. ამიტომ სწორი არ იქნება, თუ ჭაჭიდან სპირტის გამოსავალს მარტო ნორმით განვსაზღვრავთ. ჭაჭაში სპირტის რაოდენობა თვითეულ შემთხვევაში საწარმოს ლაბორატორიამ უნდა განსაზღვროს.

გარდა სპირტისა, მეღვინეობის ნარჩენებში ბევრი სხვა სასარგებლო ნივთიერებაც არის. მაგალითად, ჭაჭიდან შეიძლება მივიღოთ 3 პროცენტამდე მაღალხარისხოვანი საცხები ზეთი, 3 პროცენტამდე ტანინი, 0,5 პროცენტამდე ღვინის მჟავა და დამატებით 5-6 პროცენტამდე სპირტი. სულ ერთი ტონა ჭაჭიდან შეიძლება მიღებულ იქნას დაახლოებით 8.000 მანეთის პროდუქტები.

1955 წელს საქართველოში ვენახების ფართობი 60.000 ჰექტარამდე გადიდდება. ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე აყვანილ უნდა იქნას კოლმეურნეობებში 55 ცენტნერამდე, საბჭოთა მეურნეობებში — 60 ცენტნერამდე, სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარებამ წელიწადში 100 ათას ტონას უნდა მიაღწიოს. ღვინის მრეწველობა რამდენიმე ათას ტონა ჭაჭას მოგვცემს. მისი რაციონალურად გადამუშავება მეღვინეთა ღირსებისა და სახელის საქმეა.

მეღვინეობის ნორმალური წარმოებისათვის ხშირად საკმარისი არ არის არსებული ტარა-ჭურჭლის ფონდი. არ მიგვაჩნია სწორად ზოგიერთი სპეციალისტის აზრი, თითქოს ალკოჰოლური დუღილი და პირველადი მეღვინეობის სხვა პროცესების ჩატარება არ შეიძლებოდეს რკინა-ბეტონის დიდი ტევადობის (1.000-1.500 დეკალიტრიანი) ჭურჭელში.

წარსულში მცირე ტევადობის მუხის ტარის აუცილებლად გამოყენებას მეღვინეობაში იცავდნენ ალკოჰოლური დუღილის დროს ტემპერატურული რეჟიმის ბუნებრივად დაცვის თვალსაზრისით. ამჟამად კი, როცა ტემპერატურული რეჟიმის ხელოვნურად დაცვის შესაძლებლობა გვაქვს, ასეთ მოძველებულ აზრს არ შეიძლება დავეთანხმოთ.

მიზანშეუწონელია აგრეთვე მუხის ტარის გამოყენება ღვინის სატრანსპორტოდ, განსაკუთრებით ორდინალური ღვინრუბებისათვის. ასეთ ტარას, გარდა მოკლე საამორტიზაციო ვადისა, სხვა ნაკლიც ბევრი აქვს. ამისათვის უფრო მიზანშეწონილია სპეციალურად მოწყობილი სარკინიგზო ცისტერნები გამოვიყენოთ.

მოსაწესრიგებელია პირველადი მეღვინეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის საკითხი. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მეღვინეობაში შეიძლებოდეს შავი ლითონის იარაღ-მანქანების გამოყენება, ფართო გზა უნდა მიეცეს მექანიზაციას მეღვინეობაში. თუჯისა და ფოლადისაგან დამზადებული იარაღ-მანქანების გამოყენება ღვინომასალას რკინით ამდიდრებს. ისიც მართალია, რომ რკინის მომეტებული რაოდენობა ღვინის დაავადებას იწვევს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ მეღვინეობის მექანიზაციაზე. უნდა შეეცადოთ რკინის ზედაპირი დავფაროთ ღვინისადმი ნეიტრალური მასალით. ამასთან უნდა გამოვიყენოთ უფანგავი ფოლადი, პლასტიკური მასალები და სხვ. ესეც არ იყოს, ქიმია იცნობს ისეთ საშუალებებს, რომელთა გამოყენებით შეიძლება ღვინოში რკინის შემცირება, რითაც ხარისხის დაცვა უზრუნველყოფილი იქნება.

მექანიზაციასთან დაკავშირებით ყურძნის დამამზადებელი პუნქტების მუშაობაში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხია აგრეთვე ყურძნის ტრანსპორტირება. საჭიროა მეღვინეობაში შემოვიღოთ სტანდარტული უნიფიცირებული სატრანსპორტო ჭურჭელი, რომელიც გააადვილებს ყურძნის დატვირთვა-გადმოტვირთვისა და შინაგაჭარხნო ტრანსპორტის მექანიზაციას. ასეთი მცირე ტევადობის, უნიფიცირებული სატრანსპორტო ტარის უქონლობა უარყოფითად მოქმედებს მეღვინეობაზე, განსაკუთრებით ხარისხის მხრივ.

პირველადი მეღვინეობის შრომატევადი სამუშაოების სრული მექანიზაცია უზრუნველყოფს წარმოების ნაკადურ სისტემაზე გადაყვანას. მეურნეობაში სრული ნაკადის განსახორციელებლად საჭიროა უკვე არსებულ უწყვეტი მოქმედების მანქანებს დავმატოს ასეთივე მოქმედების სულფიტატორი, დამლექი, საფუვრის დოზატორი, ავტომატური მოქმედების საზომი ხელსაწყოები და სხვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ყურძნის გადამუშავების ყველა პროდუქტის რაოდენობრივ და თვისებრივ აღრიცხვას.

აღნიშნული მანქანები და განსაკუთრებით აღმრიცხველები ახლაც ძალიან საჭიროა. მაგრამ ამ საკითხის მოგვარებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. დავასახელებთ ერთ ფაქტს. 1951 წლის 3 ივლისს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსთან არსებულმა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურომ მოიწონა და დამტკიცა სითხეების ავტომატური ამრწყავი აპარატის პრინციპული სქემა და მოდელი. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე არ არის წარმოებაში დანერგილი. ასეთ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ტექნიკის სიახლისადმი სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და ყველანაირად შევუწყოთ ხელი მექანიზაციის დანერგვას მეღვინეობაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობამ მეღვინეობის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამა დაგვისახა. ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელება ქართული ღვინის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების მტკიცე საწინდარია.

ვ. ბურჯანაძე,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური ლაბორატორიის დირექტორი.

ზ. ჩხეიძე,
ინჟინერ-ტექნოლოგი.

ახმეტა-თელავის რკინიგზის მშენებლობის შესახებ

ახმეტის რაიონი თავისი მდიდარი ტყეებით საქართველოს სატყეო მრეწველობის ერთ-ერთ მძლავრ ბაზას წარმოადგენს. რკინიგზის უქონლობის გამო სამასალე მერქანი და დახერხილი ხე-ტყე ახმეტიდან ავტოსაჭაპანო ტრანსპორტით გამოაქვთ. ეს აძნელებს ტვირთბრუნვას და ზრდის მასალის ღირებულებას. გარდა ამისა, რკინიგზის უქონლობა აფერხებს ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეობის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას თელავსა და თბილისთან.

გაზაფხულის წყალდიდობა ხშირად იწვევს რამდენიმე დღის, ზოგჯერ კვირის განმავლობაში ახმეტა-თელავს შუა ავტოსაჭაპანო მიმოსვლის შეჩერებას. წყალდიდობის შედეგად არის სახელმწიფო, საკოლმეურნეო და მოსახლეობის ქონების გაფუჭების შემთხვევები.

ახმეტის რაიონსა და ქალაქ თელავს შუა მანძილი 25-30 კილომეტრია. ამ უბანზე რკინიგზის გაყვანით ახმეტა დაუკავშირდება თელავ-თბილისის რკინიგზის მაგისტრალს.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო წინადადება შემომაქვს მეხუთე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ახმეტა-თელავის რკინიგზის მშენებლობა და თბილის-ახმეტის რკინიგზის ელექტროფიკაცია.

ბ. ჩანგაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

გავაუმჯობესოთ კადრების მომზადება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კვების მრეწველობაში

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მასობრივი მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, განსაკუთრებით კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების განუხრელ ზრდას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ ითვალისწინებს კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდას სულ მცირე 70 პროცენტით. 1955 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეები გადიდდება დაახლოებით 80 პროცენტით, შაქრის ფხვნილის გამომმუშავებელი ქარხნების სიმძლავრეები — 25 პროცენტით, რაფინადი შაქრისა — 70 პროცენტით, ზეთსახდელი ქარხნების სიმძლავრეები — 2,5-ჯერ, თევზის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების ქარხნებისა—40 პროცენტით, ხორცკომბინატებისა — 40 პროცენტით, ყურძნის საერთო მოსავალი—55-60 პროცენტით, თამბაქოსი — 65-70 პროცენტით და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს კვების მრეწველობის წინაშე. საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე ამხ. ა. ი. მგელაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობამ 1955 წლის ბოლოსათვის უნდა გამოუშვას 4.500 მილიონი მანეთის პროდუქცია, ე. ი. 55 პროცენტით უნდა გადააჭარბოს 1950 წლის წარმოების დონეს. ახალ ხუთწლედში უნდა აშენდეს 26 ჩაის ფაბრიკა. საქართველომ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაით. ამავე პერიოდში ღვინომასალის გამომუშავება აყვანილ უნდა იქნას 4.880 ათას დეკალიტრამდე ნაცვლად 1950 წლის 2.658 ათასი დეკალიტრისა. ფართოვდება კონიაკის, ლიქიორის, სპირტისა და შამპანურის წარმოებაც.

დიდი ღონისძიებები გატარდება ხორცისა და რძის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. გადიდდება უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური სამკურნალო წყლების ჩამოსხმა, თამბაქოს წარმოება, ეთერზეთების და ცხიზეთების წარმოება.

პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მისი ხარისხი. პირველ რიგში ეს ეხება ჩაისა და ღვინის წარმოებას, რომელთა ხვედრითი წონა დიდია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობაშიც.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა უზრუნველყოფას მაღალკვალიფიციური კადრებით. საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოების კადრების შემადგენლობა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა, იგი შეიცვალა მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნოლოგებით, ინჟინერ-მექანიკოსებით, ეკონომისტებით და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის 650 კურსდამთავრებული ინჟინერ-ტექნოლოგი მუშაობს ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის ფაბრიკებსა და ქარხნებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხიც. ამის შედეგად მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ჩაის ფოთლის გადამუშავების, ქართული ღვინის ბიოქიმიური თვისებების, ეთერზეთოვანი და ცხიმოვანი ნედლეულის ტექნოლოგიის შესწავლის საქმეში.

მიუხედავად ამისა, კვების მრეწველობისათვის კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი, რომელთა გამოუსწორებლად შეუძლებელია მეხუთე ხუთწლედში საქართველოს კვების მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კადრების მომზადებასა და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში არ არის ერთიანი მიზანდასახულობა და მტკიცედ ჩამოყალიბებული სისტემა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე ამხ. ლ. პ. ბერია აღნიშნავდა:

„საჭიროა გაძლიერდეს ტექნიკური ხელმძღვანელობა ფაბრიკებში, გაიშალოს ბრძოლა ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნიკის ათვისებისათვის, გაუმჯობესდეს გადამუშავების ხარისხი. ჩაის ფაბრიკებმა უნდა გვიჩვენონ მუშაობის ნიმუშები“.

ამ ამოცანის ზუსტად განხორციელება შეუძლებელია მაღალკვალიფიციური კადრების უყოლად. დღემდე საქართველოს ჩაის ტრესტის თითქმის არც ერთ ფაბრიკას საჭირო რაოდენობით არა ჰყავს ინჟინერ-ტექნოლოგები. ზოგ ფაბრიკაში 3-4-ის ნაცვლად ერთი ან ორი სპეციალისტი მუშაობს. ამის გამო ინჟინერ-ტექნოლოგების მოვალეობას ხშირად არასაკმაო კვალიფიკაციის პირები ასრულებენ და, ცხადია, მათი მუშაობის ხარისხი დაბალია. მოთხოვნილება კადრებზე ყოველწლიურად იზრდება. ამავე დროს საქართველოში სრულიად არ მზადდება სპეციალისტები კვების მრეწველობის ისეთი დარგებისათვის, როგორიც არის ხორცისა და რძის მრეწველობა, პურსაცხობი, საკონდიტრო, უალკოჰოლო სასმელების, თამბაქოსა და მაკარონ-ბურღულის წარმოება. მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქპურტრესტის ქარხნებში სამუშაოდ გაიგზავნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტდამთავრებული 15 ინჟინერ-ტექნოლოგი. ასეთი მდგომარეობის გამო მრეწველობის ზემოაღნიშნულ დარგებში სპეციალისტის თანამდებობებზე შეხვედით ისეთ მუშაკებს, რომელთაც თავიანთი განათლებით ამ დარგთან არავითარი კავშირი არა აქვთ. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო კვალიფიციური კადრების დიდ ნაკლებობას განიცდის, მიუხედავად ამისა, ამ სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები რატომღაც არ ფიქრობენ დაიყენონ ხორცის, რძის, ყველ-კარაქის მრეწველობისათვის კადრების მომზადების საკითხი.

ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა 1938 წლიდან დაიწყო მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგების მომზადება. 10-12 წლის განმავლობაში ფაკულტეტი ყოველწლიურად აუმჯობესებდა მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგების მომზადების ხარისხს, შეიძინა ღვინის მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგების მომზადების დიდი გამოცდილება. მაგრამ უკანასკნელ ხანს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა მეღვინეების მომზადება შეწყვიტა. ამას საფუძვლად დაედო ზოგიერთ სამეურნეო და მეცნიერ მუშაკთა შორის გავრცელებული მცდარი შეხედულება, თითქოს ღვინის წარმოებისათვის სპეციალისტი მეევენახე-მეღვინე უფრო გამოსადეგი და მიზანშეწონილია, ვიდრე სპეციალისტი მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგი. რომელიც შეიარაღებულია ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული საინჟინერო-ტექნიკური ცოდნით. ამ მოსაზრებას უკან მივყავართ იმავე მდგომარეობამდე, როგორიც იყო 15-20 წლის წინათ. ამ შეხედულების მიმდევრებს ავიწყდებათ, რომ ამ 15-20 წლის განმავლობაში მეღვინეობა საკმაოდ განვითარდა, რომ ამჟამად ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ხრუნვა უფრო აქტუალურ საკითხად იქცა, ვიდრე 15-20 წლის წინათ იყო. აღნიშნული მცდარი მოსაზრების ავტორებს აგრეთვე ავიწყდებათ, რომ საქართველოში ამჟამად არა მარტო ღვინის წარმოებაა ფართოდ განვითარებული, არამედ შამპანურის, არყის, ლიქიორის, კონიაკის, სპირტის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების წარმოებაც. ამის გამო მას ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს აგრონომი მევენახე-მეღვინე. საწარმოო პროცესების სწორად წარმართვისათვის საჭიროა ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეიარაღებული იქნება ბიოქიმიური, საინჟინერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ცოდნით და ამავე დროს დაუფლებული იქნება ღვინის მრეწველობის ორგანიზაციის და ეკონომიკის საკითხებს. ამიტომ ჩვენი აზრით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე აღდგენილ უნდა იქნას დღემდე არსებული ინჟინერ-ტექნოლოგი მეღვინის სპეციალობა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებისათვის (ღვინის, არყის, ლიქიორის, შამპანურის და სხვ.) უნდა მომზადდეს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მრეწველობის ამ დარგების მიერ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას.

საჭიროა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმაც დაიწყოს ინჟინერ-ტექნოლოგების მომზადება ღვინის, თამბაქოს, პურსაცხობი, საშაქარლამო წარმოებისათვის, ხორცისა და რძის მრეწველობისათვის.

საქართველოს კვების მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ჩაის, ღვინის, ეთეროვანი ზეთების, ცხიმზეთების, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებელი მრეწველობა, საკმაოდ განვითარდა, მაგრამ ტექნოლოგიური რეჟიმის რაციონალიზაციის, საწარმოო პროცესების მექანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნიკური კონტროლის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხების შემდგომ შესწავლასა და გაუმჯობესებას მოითხოვს.

რამდენიმე წელია გაფრკვეველ მდგომარეობაშია ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ტექნოლოგიური განყოფილება, რომელიც ძირითადად ჩაის ტექნოლოგიის საკითხებზე მუშაობს. მას არა აქვს ყველა საჭირო პირობა ჩაის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად კვლევითი მუშაობის გაშლისათვის. საქართველოს ჩაის მრეწველობა უდავოდ ღირსია იმისა, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის მას ჰქონდეს ფართო და მტკიცე ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნება მეცნიერულ საფუძველზე გადაწყდეს ჩაის ფოთლის გადამუშავების რაციონალიზაციისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციის საკითხები.

რამდენიმე წელია არსებობს საკონსერვო მრეწველობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება, მაგრამ მას რაიმე საფუძვლიანი ნაშრომი ციტრუსოვანთა ნაყოფების შენახვისა და გადამუშავების საქმეში ჯერ არ მოუცია. თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებს ეთერზეთების, ცხიმზეთების, თამბაქოს და კვების მრეწველობის სხვა პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების შესწავლისათვის.

საქართველოს კვების მრეწველობის წინაშე მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაჭრა მოითხოვს, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც გეგმიანად წარმართავს საქართველოში სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ამ დარგში და ხელს შეუწყობს მეხუთე ხუთწლიანი გეგმით საქართველოს კვების მრეწველობის წინაშე დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტას.

დოცენტი ხ. შალამბერიძე,
ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ".

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. დედაბრიშვილმა.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხი ამას წინათ განიხილა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა.

სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ახალი ძძლავრი აღმავლობა, რასაც პარტია მეხუთე ხუთწლედში ითვალისწინებს, მოითხოვს სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებას. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწოდებული არიან აღზარდონ სტუდენტები კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად, დარაზმონ ისინი ცოდნის, მეცნიერების ზედმიწევნით დასაუფლებლად.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო. სტუდენტთა აკადემიურმა წარმატებამ 1951-1952 სასწავლო წლის მეორე ნახევარში მთელ რესპუბლიკაში 89,3 პროცენტს მიაღწია. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა წარმატება შეადგენს 94 პროცენტს, საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—97,4 პროცენტს.

მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან დირექციას, პროფესორ-მასწავლებლებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შეგნებული დისციპლინის · განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ეს განსაკუთრებით ეხება უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს. სტალინირის, ქუთაისის, თბილისის პუშკინის სახელობის და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში აკადემიური წარმატება 80 პროცენტს არ აღემატება. მთელ რიგ შემთხვევებში კომკავშირული ორგანიზაციები სჯერდებიან აკადემიური წარმატების საკითხების მხოლოდ ფორმალურ განხილვას.

პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა სტუდენტ ახალგაზრდობაში იდეოლოგიურ მუშაობას.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ალკკ ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. კვარაცხელიამ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ბადურაშვილმა, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ა. ქომეთიანმა, საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გვერდწითელმა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ნ. კეცხოველმა, კომკავშირის აპარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. შავიშვილმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტ ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ლ. საღრაძემ და სხვებმა.

კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებზე, დასახეს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლეს სასწავლებელთა განყოფილების გამგემ ამხ. ვ. მელქაძემ.

(საქდესი).

ПРОПАГАНДИСТЕБИ МЕЦАДИНЕОБАЗЕ МОУМЗАДЕБЕЛИ GAMOCXADEDNEN

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ძრავების საამქროში დანიშნულ დროზე დაიწყო პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის მეცადინეობა. პროპაგანდისტმა ამხ. შ. გურესაშვილმა მსმენელებს გააცნო მიმდინარე სასწავლო წლის გეგმა, მოკლედ შეეხო პარტიის ისტორიის ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდს და შემდეგ მსმენელებს ესაუბრა ახალ თემაზე — „ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში". საუბრის დროს მან კარგად გამოიყენა რუკა. მსმენელებმა ა. ნანიკაშვილმა, რ. ჩოგოვაძემ, გ. ხაზარაძემ, ბ. ტაკიძემ და სხვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თემის განხილვაში.

მომზადებულად ჩატარდა მეცადინეობა აგრეთვე იმ წრეში, სადაც პროპაგანდისტია ამხ. ო. ჯაჭვაძე.

მაგრამ ზოგიერთ წრეში პირველი მეცადინეობა არაორგანიზებულად და დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოეწყო. მოუმზადებელი გამოცხადდნენ მეცადინეობაზე პროპაგანდისტები გ. რევაზიშვილი, გ. ლომთაძე და ნ. გოძუაძე. გამოირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთი წრე არასწორად იყო დაკომპლექტებული მსმენელებით. სარედმონტო-სამსხმელო საამქროს პარტორგანიზაციასთან არსებულ წრეში 25 მსმენელიდან მეცადინეობას დაესწრო მხოლოდ 12. ამასთან პროპაგანდისტმა ამხ. ბერუჩეკვამ მკრთალად ჩაატარა საუბარი.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა სწრაფად უნდა გამოასწოროს ეს ნაკლოვანებანი.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

თბილისელი და ჭიათურელი ხარაგზების მეგობრობა

დღითიდღე მტკიცდება თბილისელი და ჭიათურელი ჩქაროსანი ხარატების შემოქმედებითი მეგობრობა. გულთბილი და საქმიანი მიწერ-მოწერა აქვთ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ელექტრომექანიკური სახელოსნოს ლითონის ჩქაროსნული ჭრის ინიციატორს ი. კაპანაძეს და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ცნობილ ხარატს ი. ჭუმბურიძეს.

ამას წინათ ჭიათურაში გამოგზავნილ წერილში ი. ჭუმბურიძე ჭიათურელ ხარატებს უზიარებდა რა თავის მდიდარ გამოცდილებას, წერდა: „გვესტუმრეთ თბილისში, ინახულეთ ჩვენი ქარხანა, რომელსაც ბრწყინვალე რევოლუციური ტრადიცია აქვს. პირადად გავეცნოთ ერთმანეთს, ვისაუბროთ ჩვენს გამოცდილებაზე".

ცოტა ხნის შემდეგ ჭიათურელმა ი. კაპანაძემ და ახალგაზრდა ხარატმა კ. მეგრელიშვილმა საწარმოო მივლინება მიიღეს. ისინი თბილისს გაემგზავრნენ და ესტუმრნენ ბელადის სახელობის ქარხანას, სადაც მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ჭიათურელებმა გულდასმით დაათვალიერეს ქარხანა, დაწვრილებით გაეცნენ სახარატო-მექანიკური საამქროს მუშაობას, ინახულეს ის დაზგა, რომელზეც მუშაობდა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი მ. კალინინი. ძველმა მუშებმა სტუმრებს უამბეს ქარხნის სახელოვან რევოლუციურ წარსულზე, ამ ქარხანაში მშობლიური სტალინის მოღვაწეობაზე.

ჭიათურელ სტუმრებს ესაუბრნენ ცნობილი ჩქაროსანი ხარატები ამხ. ჭუმბურიძე, ბაისონაშვილი, მამაგეიშვილი. ნოვატორმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ სტუმრებს პრაქტიკულად უჩვენა გაუმჯობესებული საჭრისით დეტალების დამუშავება. ამხ. კაპანაძემ და მეგრელიშვილმა ბევრი რამ ახალი გაიგეს დედაქალაქში, ისწავლეს ზოგიერთი საჭრისის დამზადება, ალესვა და გამოყენება.

შემდეგ ჭიათურელი ხარატები ესტუმრნენ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას. აქ სტუმრებს ესაუბრნენ ჩქაროსანი ხარატები ამხ. აგაჯანოვი, ზუბრიცკი, ნათაძე და სხვები. მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება. თბილისელმა ამხანაგებმა გულთბილად გამოაცილეს ჭიათურელი სტუმრები, რომლებიც კმაყოფილი დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში.

თბილისში მიღებულ შთაბეჭდილებსა და გამოცდილებაზე ამხ. კაპანაძემ და მეგრელიშვილმა დაწვრილებით უამბეს თავიანთ ამხანაგებს. განზრახულია მოეწყოს ამხ. ი. კაპანაძის ლექცია ახალგაზრდობისათვის.

თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. კაპანაძემ და მეგრელიშვილმა დაამზადეს კბილანებისა და კბილანების შიგა დიამეტრის გამოსაჩარხავი სამარჯვი, რომელსაც იყენებენ ელექტრობურღის ყველა სახის კბილანის დასამზადებლად.

ახლო ხანში ჭიათურაში მოელიან თბილისელ ნოვატორ ხარატს ი. ჭუმბურიძეს, რომელიც გაეცნობა ჭიათურელი ხარატების მუშაობას.

პ. ბიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სასოფლო-სამეურნეო არჯვლის წესდების დარღვევისათვის

სოფლკორი გვწერდა, რომ სოფელ არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თათეშვილი უხეშად არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, რის შედეგადაც ნიადგება საკოლმეურნეო ქონება. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ადიგენის რაიონულ კომიტეტს.

პარტიის ადიგენის რაიკომი გვატყობინებს, რომ აღნიშნული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თათეშვილი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევისათვის მოხსნილია თანამდებობიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

საკოლმეურნეო ქონების დამგაცებლები პასუხისგებაში მისცეს

გურჯაანის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მთელი რიგი დამახინჯებებია, ნიადგება საკოლმეურნეო ქონება, ადგილი აქვს დამნაშავეთა მიმართ წაყრუებას, — გვწერდა სოფლკორი.

რედაქციამ წერილი შესამოწმებლად საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომს გადაუგზავნა. რაიკომის ბიუროომ ამას წინათ განიხილა აღნიშნული საკითხი. კოლმეურნეობის ფერმის გამგე გ. ზირაქაშვილი, ფერმის ყოფილი გამგე გ. უტიაშვილი და სხვა დამნაშავე პირები პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

რაიკომის ბიუროომ დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

3 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი მაკ სუინი და გადასცა მას შემდეგი ნოტა:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატივი აქვს განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შემდეგი:

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა კენანმა 19 სექტემბერს ტემპელჰოფის აეროდრომზე ბერლინში დალაველთ ბერლინის პრესის წარმომადგენლებისა და ამერიკელი კორესპონდენტების წინაშე გააკეთა განცხადება, რომელშიც დაუშვა ცილისმწამებლური მტრული გამოხდომა საბჭოთა კავშირის მიმართ, რაც საერთაშორისო სამართლის საერთოდ აღიარებული ნორმების უხეშად დარღვევას წარმოადგენს. ამ განცხადებაში, რომელიც დასავლეთ გერმანიის მთელმა რიგმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ბ-ნმა კენანმა ნება მისცა თავის თავს ამერიკელთა მდგომარეობა მოსკოვში შეედარებინა იმისათვის, რაც მან თითქოს განიცადა, როცა 1941-42 წლებში ინტერნირებული იყო ნაცისტთა მიერ გერმანიაში, და განაცხადა, რომ „ნაცისტებს რომ ნება მოეცათ ჩვენთვის ქუჩებში სიარულისა ისე, რომ უფლება არა გვქონოდა დავლაპარაკებოდით რომელიმე გერმანელს, ეს იქნებოდა სწორედ ისეთი მდგომარეობა, რომლის პირობებშიც ახლა ცხოვრება გვიხდება მოსკოვში".

ბ-ნი კენანის ეს განცხადება მთლიანად სიცრუე და საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულია.

ზემოთქმულის გამო საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი ბ-ნ კენანს თვლის როგორც არასასურველ პირს **Persona non grata** და მტკიცედ მოითხოვს ბ-ნი კენანი დაუყოვნებლივ გაწვეულ იქნას სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის პოსტიდან".

ბ-ნმა მაკ სუინმ ნოტა მიიღო და განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გადასცემს მას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

გაიხსნა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი

პეკინი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პეკინში გაიხსნა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი. ხუთიათასნაირაზში შეიკრიბნენ აზიისა და წყნარი ოკეანის 37 ქვეყნის დელეგატები, საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სპეციალურად მოწვეული სტუმრები. კონგრესს ესწრება ჩინელ და უცხოელ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი. პრეზიდიუმის მაგიდის ზემოთ არის დიდი ტილო მშვიდობის მტრედის გამოხატულებით, ამ ქვეყნების სახელმწიფო ალმები, რომელთა დელეგატები ჩამოვიდნენ კონგრესზე.

მოსამზადებელი კომიტეტის გენერალური მდივანი ლიუ ნინ-ი მოკლე სიტყვით მიესალმება დელეგატებს და კონგრესს გახსნილად აცხადებს. იგი აღნიშნავს, რომ კონგრესზე ჩამოვიდა 378 დელეგატი და სტუმარი. კონგრესს ესწრებიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგატებს შორის არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშათა და გლეხთა მოძრაობის ლიდერები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები, პარლამენტების წევრები, ჟურნალისტები, მედიცინის მუშაკები, მრეწველები და კულტის მსახურები. ეს მოწმობს, აღნიშნავს ლიუ ნინ-ი, კონგრესის ფართო წარმომადგენლობითობას და მოსახლეობის ყველა ფენის მისწრაფებას მშვიდობისადმი.

კონგრესმა მქუხარე ტაშით ერთხმად დაამტკიცა პრეზიდიუმის შემადგენლობა.

კონგრესმა ერთსულოვნად აირჩია სამდივნო კონგრესის გენერალური მდივნის ლიუ ნინ-ის მეთაურობით. შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა სუნ ძინ-ლინმა, რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციით შეხვდა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პეკინის მერმა პინ ჯენმა. ქვეყნდება კონგრესისადმი მისასალმებელი დეპეშები მაო ძე-დუნის, ჟოლიო-კიურის, იკუო ოიამას, პაბლო ნერუდას, პოლ რობსონისა და ჟან ლაფიტისაგან.

ჟოლიო-კიურის წერილი აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესისადმი

პეკინი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ჟოლიო-კიურიმ მისასალმებელი წერილი გაუგზავნა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესს, რომელიც დღეს გახსნა. წერილში ნათქვამია:

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ ყველას გვწამს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის დიდი მნიშვნელობა. ამ მოვლენას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან დედამიწის ამ უმნიშვნელოვანესი რაიონის ხალხთა წარმომადგენლები პირველად შეიკრიბნენ ერთად და იხილავენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მათს საკუთარ უშიშროებას, მათს კეთილდღეობასა და მომავალს ეხება.

მშვიდობის დაცვა აზიაში—აი თქვენი ამოცანა.

მშვიდობის დაცვა აზიაში ნიშნავს მილიონობით მამაკაცთა და ქალთა სიცოცხლის ხსნას: სწორედ აზიაში 1945 წელს პირველად გამოყენებულ იქნა ატომური იარაღი—იარაღი, რომელიც განკუთვნილია მთელი ქალაქების მცხოვრებთა მასობრივი მოსპობისათვის.

სწორედ აზიაში — კორეაში, აგრეთვე ჩინეთის მიწა-წყალზე ხდება უაღრესად ბარბაროსული საჰაერო თავდასხმები ნაპალმის ბომბების გამოყენებით და წარმოებს ბაქტერიოლოგიური ომი — ყველაზე საშინელი ომი.

ჩვენ შეგვიძლია თან გავიყოლიოთ მთელი მსოფლიოს ადამიანები, რათა შეუძლებელი გავხადოთ ამ ომის განგრძობა და გავაჩეროთ, წარვედგინოთ მათ იმის დამამტკიცებელი საბუთები, თუ რა მეთოდებით წარმოებს ეს ომი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კონგრესი ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში და მძლავრი ფაქტორი იქნება ხალხთა მშვიდობის დასაცავი დიდი კონგრესის მომზადებაში.

აგრესიული გეგმები „გაერთიანებული ევროპის" აბრით

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ დამთავრდა ცბიდაღებული „ევროპის საკონსულტაციო ასამბლეის" სესია, რომელიც აერთიანებს დასავლეთ ევროპის 15 ქვეყნის პარლამენტების წარმომადგენლებს. „ასამბლეის" სხდომები მიმდინარეობდა სტრასბურგში, სადაც არის მუდმივი რეზიდენცია ევროპიდან „ევროპის საბჭოსი", რომლის ერთ-ერთი ორგანოა აღნიშნული „ასამბლეა".

„ევროპის საკონსულტაციო ასამბლეის" სესია ძირითადად მიეძღვნა „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების" პრობლემას. განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი „ევროპის საბჭოს" ურთიერთობისა „შუმანის გეგმის" შესაბამისად შექმნილი ქვანახშირ-ფოლადის ზეტრესტის „ამას წინათ წარმოშობილ ორგანოებთან".

როგორც სესიაზე წარმოთქმული რამდენიმე სიტყვიდან და უცხოელთა პრესის კომენტარებიდან ჩანს, ეგრეთწოდებული „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების" გეგმები აგრესიულ მიზნებს ისახავენ. მაგალითად, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა აღნიშნა, რომ „ევროპის საბჭომ" მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს დასავლეთ ევროპის ქვეყნების „თავდაცვის" გაძლიერებისა და „თავდაცვის" მოთხოვნებისათვის მათი ეკონომიკის შეგუების საქმეში. იგივე აზრი გამოთქვა იტალიის პრემიერ-მინისტრმა დე გასპერიმ, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ფედერალური ევროპის" ყველა ორგანო უნდა ემყარებოდეს „ცენტრალურ პირთვს", როგორიც, მისი სიტყვით, არის „ევროპის არმია", რასაც იმპერიალისტები ეწინააღმდეგებიან.

„ევროპის საკონსულტაციო ასამბლეამ" დიდი ყურადღება მიაქცია ეგრეთწოდებული „იდენის გეგმის" განხილვას იმის შესახებ, რომ მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს ქვანახშირ-ფოლადის კარტელის ორგანოებსა (რომლებშიც შედიან ექვსი ქვეყნის — საფრანგეთის, დასავლეთი გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის წარმომადგენლები) და „ევროპის საბჭოს" შორის. სესიამ მოიწონა ეს გეგმა. გეგმა ითვალისწინებს — ქვანახშირ-ფოლადის გაერთიანების „უმაღლეს საბჭოში" გაიგზავნონ იმ ქვეყნების მეთვალყურენი, რომლებიც „ევროპის საბჭოს" წევრები არიან. მაგრამ ქვანახშირ-ფოლადის კარტელში არ შედიან: გარდა ამისა, „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების" ასამბლეის დელეგატები ამავე დროს „ევროპის საკონსულტაციო ასამბლეის" დელეგატები უნდა იყვნენ.

მაგრამ რა არის „იდენის გეგმის" ნამდვილი დანიშნულება? საქმე ის არის, რომ ინგლისმა, რომელსაც ეშინია საბოლოოდ არ დაკარგოს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები ევროპაში, უარი თქვა შეეიდეს ქვანახშირ-ფოლადის გაერთიანებაში და მონაწილეობა მიიღოს „ევროპის არმიაში". ცნობილია, რომ ამერიკის იმპერიალისტები ეს ორი ქმნილება მოწოდებულია ხელი შეუწყოს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტების პოზიციების განმტკიცებას. ქმნიან რა ქვანახშირ-ფოლადის ზეტრესტსა და „ევროპის არმიას", სადაც მეთაურის როლი დასავლეთ გერმანიას უნდა ეკუთვნოდეს, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ ჩამოაშორონ ინგლისი ევროპის საქმეებს. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „ფრანს ილუსტრასიონი" წერს, რომ ინგლისისათვის იქმნება „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების" მეტისმეტად გიფარეთ-ბის საფრთხე, გაერთიანებისა, რომელიც გაძლევებს ინგლისს ევროპის კონტინენტიდან და სხვა ტრადიციული მაზრებიდანაც კი. ყოველკვირეული ორგანო „ობსერვატორიც" აღნიშნავს, რომ „ევროპა იქნები ქვეყნის შემადგენლობით" (მხედველობაშია ქვანახშირ-ფოლადის გაერთიანების წევრი ქვეყნები.— **რედ.**) არის „იარაღი, რომლის მიზანია განდევნოს დასავლეთ ევროპიდან ინგლისის მეტალურგიული და შესაძლოა ქვანახშირის მრეწველობის საექსპორტო პროდუქცია... გაძევებს ინგლისი ევროპის კონტინენტიდან".

სწორედ ამიტომ ინგლისი, რომელსაც ეკუთვნის ხელმძღვანელი როლი „ევროპის საბჭოში", ეწინააღმდეგება „შუმან-ს გეგმის" ორგანოები.

„ფიქრობენ, — წერს ჟურნალი „ფრანს ილუსტრასიონი",—რომ ინგლისს განზრახული აქვს ძალიან შორს არ იყოს ინტერესების ამ გაერთიანებისაგან (ე. ი. ქვანახშირ-ფოლადის ზეტრესტისაგან.—**რედ.**), სადაც გერმანია ამერიკის დახმარებით თავის ეკონომიკურ დიქტატს დამყარებს. ჟურნალი აღნიშნავს, რომ ინგლისის მხრივ ხელისშეწყობა „სასურველია საფრანგეთისათვის, ეერძოდ, იმ მიზნით, რომ აღკვეთოს ასეთი დიქტატი".

მაშასადამე, „იდენის გეგმა" ასახავს სერიოზულ წინააღმდეგობებს დასავლეთ ევროპის „გაერთიანებელთა" შინაგში.

ფრანგმა მოღვაწემ ბერნარ ლავერნმა ჟურნალ „ანე პოლიტიკ ე ეკონომიკ" გვიჩვენა „გაერთიანებული ევროპის" შესახებ ბურჟუაზიული პოლიტიკოსების ლაყბობის ნამდვილი აზრი. იგი წერს: „ყბადაღებული ევროპა, რომელზეც ლაპარაკით უკვე გამოგვიყოფეს ყური, ნამდვილად იქნება არა დიფერენციებული ხალხების ნებისმიერმატეველი, არამედ ვეებერთელა მანქანა, რომელიც შექმნა და რომელსაც მართავს პენტაგონი (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება. **რედ.**). მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთი ევროპა უწინარეს ყოვლისა ამერიკა იქნება!".

მოკლე შენიშვნები

I. შუმანის სახელი და ამერიკელი მაგნატების სახრავი

ყბადაღებული „შუმანის გეგმა“ ძალაში შევიდა. ფორმალურად მას ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის ევროპის „გაერთიანება“ ეწოდება. სინამდვილეში იგი უაღრესად აგრესიული ხასიათის წამოწყებაა.

„შუმანის გეგმა“ ამერიკელი იმპერიალისტების ბრძანებაა. შუმანი თავდაპირველად ლუქსემბურგის ქვეშევრდომი, შემდეგში გერმანიის მოქალაქე, რომლის მთელი დიპლომატიური „ნიჭი“ და გაქნილობა იმით გამოიხატა, რომ, თავისი ბნელი წარსულის მიუხედავად, შეძლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გამძვრალიყო, და რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურება მორგანის ბანკის კონტროლქვეშ მყოფი „ქვემეხების ციფეთა“ საფრანგეთ-გერმანიის დევნადალების დინასტიას, მხოლოდ ნათლაა ამერიკელი მაგნატების მიერ შექმნილი ამ მორიგი ავანტიურისტული ორგანიზაციისა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ჯერ კიდევ 1951 წლის 20 მარტს წერდა: „ეს გაბედული გეგმა (ლაპარაკია შუმანის გეგმაზე) წარმოადგენს დიდ ნაბიჯს ევროპის გაერთიანების საქმეში, შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია წამოაყენეს იდეა ასეთი გაერთიანებისა, რომელიც მარშალის გეგმით დაიწყო: ეს არის ნაბიჯი დასავლეთ ევროპის პოლიტიკური და სამხედრო ერთიანობისაკენ, რომელსაც მხარს უჭერს ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის არმია“.

„შუმანის გეგმა“ მჭიდროდ არის დაკავშირებული ეგრეთწოდებულ „პლეევნის გეგმასთან“. თუ ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის გაერთიანებული არმიის შექმნას, რომელშიც წამყვან ადგილს აუცილებლად დაიკავებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები ყოფილი ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, „შუმანის გეგმა“ ქმნის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მძიმე მრეწველობას აერთიანებს რურის მრეწველობასთან და რომელშიც გაბატონებული ადგილი რურის მაგნატებს ეკუთვნით.

„შუმანის გეგმა“ ის იარაღია, რომლითაც ამერიკელი იმპერიალისტები აპირებენ დასავლეთ გერმანიის შეყვანას აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში.

1948 წელს ამერიკელმა მაგნატებმა შექმნეს „რურის საერთაშორისო ხელისუფლება“, რომელიც ფაქტიურად მთლიანად მათ ეკუთვნით. ამჟამად, აქცევენ რა საფრანგეთის, იტალიისა და „ბენელუქსის“ ქვეყნების ეკონომიკას რურის ბასეინის „დამბარე საამქროდ“, ამერიკელი იმპერიალისტები მიზნად ისახავენ ხელში ჩაგდონ არა მარტო დასავლეთ გერმანიის ბაზარი, არამედ „შუმანის გეგმის“ მონაწილე ყველა სხვა ქვეყნის ბაზრებიც.

„შუმანის გეგმას“ აქვს სამხედრო-აგრესიული ხასიათიც: ამ გეგმის ხელისმოწერასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის მარიონეტული მთავრობის მეთაურმა ადენაუერმა განაცხადა: „სასარგებლო იქნებოდა გერმანელი და ფრანგი ჯარისკაცების და განსაკუთრებით სამხედრო მსმენელების დაახლოება, რათა მათ ვაგრძნობინოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი მზად იყვნენ იბრძოლონ საერთო საქმისათვის“... აღდგენს რა გერმანიის სამხედრო მრეწველობას, „შუმანის გეგმა“ გერმანელი რევანშისტების აგრესიის რეალურ საფრთხეს უქმნის საფრანგეთს. ამავე დროს ფრანგებს ეუბნებიან — ეს გეგმა საფრანგეთ-გერმანიას შორის არსებულ წინააღმდეგობებს ანელებსო... და ურჩევენ მათ დაუახლოვდნენ ადენაუერის გერმანიას, რომელიც—უაღრესად რეაქციულ ფრანგულ გაზეთ „კომბას“ განცხადებითაც კი—„ნამდვილ დასავით ჰგავს ვილჰელმ II-ისა და ჰიტლერის გერმანიას“.

„შუმანის გეგმა“ საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ეკონომიური ინტერესების გაყიდვას ნიშნავს. ამ ქვეყნებისათვის მას მოაქვს ეკონომიური კრიზისის გამწვავება, უმუშევრობა. საკმარისია თქვას, რომ ამ გეგმასთან დაკავშირებით საფრანგეთში 70 შახტი უკვე დაიკეტა და 77.000 მეშახტე უმუშევრად დარჩა.

„შუმანის გეგმა“ კიდევ უფრო აღრმავებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ინგლისის პოზიცია. მართალია, ინგლისი ოფიციალურად არ მონაწილეობს ამ „გაერთიანებაში“, მაგრამ. მიუხედავად ამისა, ინგლისის წარმომადგენლები, როგორც მეთვალყურეები, ესწრებიან „შუმანის გეგმის“ სისტემასთან დაკავშირებული ორგანოების — ე. წ. „მინისტრთა საბჭოს“ და „ასამბლეის“ სხდომებსა და თათბირებს. უცხოეთის პრესა უკვე ალაპარაკდა „იდენის გეგმაზე“, რომლის მიზანია „შუმანის გეგმა“ დაუკავშიროს „ევროპის საბჭოს“, რომელიც 1949 წლიდან არსებობს, როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის დასაყრდენი ევროპაში, და რომელშიც ინგლისი მთავარ როლს ასრულებს; ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს კი „ევროპის საბჭოში“ თავიანთი წარმომადგენელი არა ჰყავთ.

ამერიკელი მაგნატების პირიმზე „შუმანის გეგმა“ და მის წინააღმდეგ ინგლისელი იმპერიალისტების მიერ „იდენის გეგმის“ დაპირისპირება იმ მზარდი წინააღმდეგობის გამოვლინებაა, რომელიც არსებობს ამერიკასა და ინგლისს შორის. ეს არის ანტაგონისტური წინააღმდეგობა ორ იმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის, რომლებიც, მართალია, „თანამშრომლობენ“ და „მეგობრობენ“, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთს სამარეს უთხრიან...

II. სხვისთვის „მამაცები“, თავისთვის ზარმაცები

მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა დაგმო ამერიკელი იმპერიალისტების აგრესია კორეელი ხალხის წინააღმდეგ. მსოფლიოს მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხების სიმპათია მამაცი კორეელი ხალხის მხარეზეა, რომელიც გმირულად იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ ამერიკელმა ინტერვენტებმა კორეაში სასტიკი მარცხი განიცადეს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ომის მარტო 23 თვის განმავლობაში ამერიკელმა აგრესორებმა და მათმა ლისინმანელმა სატელიტებმა დაღუპულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს. ომის მხოლოდ 17 თვის განმავლობაში კორეის სახალხო არმიის მებრძოლებმა და ჩინელმა მოხალისეებმა ჩაძირეს ამერიკის 110 სამხედრო გემი, ჩამოაგდეს 2 ათასამდე თვითმფრინავი, გაანადგურეს და ხელთ იგდეს 2.100 ტანკი, 10 ათასზე მეტი ავტომანქანა და სხვ. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიისაგან ნიქსონი იძულებული გახდა ელიარებინა ამერიკელი აგრესორების სამხედრო წარუმატებლობა და ეთქვა: „...ჩვენ ვეღარ მოვახვევთ კორეას თავს სიმარ გადაწყვეტილებას“.

ომი კორეის წინააღმდეგ არ სარგებლობს პოპულარობით ე. წ. გაერთიანებული ერების ჯარისკაცებს შორის. ისინი რწმუნდებიან, რომ მათი ომი კორეის წინააღმდეგ არასამართლიანია და დიდ დანაშაულს წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე. ამერიკელი, ინგლისელი, ბელგიელი, ჰოლანდიელი ჯარისკაცები სულ უფრო ხშირად ამაღლებენ პროტესტის ხმას ომის წინააღმდეგ, ოცნებობენ სახლში დაბრუნებაზე, ცდილობენ მსუბუქი ჭრილობა მიიღონ, რომ ჰოსპიტალში მოხვდნენ, ტყვედ ნებდებიან კორეის სახალხო არმიის ნაწილებს. ამას წინათ ამერიკელთა სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა სამი ჰოლანდიელი ჯარისკაცი, რომლებმაც უარი განაცხადეს ბრძოლაზე, და მიუსაჯა მათ პატიმრობა 5-დან 16 წლამდე. ამერიკელმა ჯარისკაცმა მიდსენმა უარი თქვა კორეაში წასვლაზე. იგი მეათე სართულიდან გადმოვარდნით იმუქრებოდა. „მომშორდით, თუ არა და აქედან გადმოვხტები. სჯობს აქ მოვკვდე, ვიდრე კორეაში“,—გაიძახოდა იგი. ამერიკის შეერთებული შტატების „თავდაცვის“ მინისტრის თანაშემწემ როზენბერგმა კორეიდან დაბრუნების შემდეგ აღიარა, რომ მას ვერ წარმოედგინა, თუ ამერიკელი ჯარისკაცების მორალური სულისკვეთება კორეაში ასე კატასტროფულად დაეცემოდა. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი თავის ერთ-ერთ მიმართვაში კორეის ფრონტზე მყოფ მფრინავებს წერს: „შემოწმება გვიჩვენებს, რომ თქვენ არ გსურთ იბრძოლთ კორეაში“...

ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობს ტერორით დააშინოს ჯარისკაცები და ჩაკლას მათი მისწრაფება, რომელიც მიმართულია კორეაში ომის შეწყვეტისაკენ. მაგრამ ჯარისკაცებს სურთ სიცოცხლე, მათ სურთ თავიანთ ოჯახებში დაბრუნება და მშვიდობიანი ცხოვრება... ამერიკელი აგრესორების სამსახურში მყოფი ბურჟუაზიული პრესა ყოველნაირად ცდილობს შექმნას „სიკვდილის რომანტიკა“, ნათელი ფერებით დახატოს ამერიკელ „განმათავისუფლებელთა“ სამხედრო ოპერაციები კორეის ფრონტზე. ამას წინათ ჟურნალი „რიდერს დაიჯესტი“ ასეთ „რჩევას“ აძლევდა ჯარისკაცებს: „თქვენ, ალბათ, სიკვდილის გეშინიათ; თქვენ ფიქრობთ, რომ სიკვდილი არასასიამოვნო იქნება. სწორედ ამაშია თქვენი შეცდომა. სიკვდილი სრულებითაც არ არის არასასიამოვნო“...

საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში რატომ ამჯობინებენ სახლში ჯდომას და არ მდგან კორეაში „სიკვდილის სიამოვნების“ განსაცდელად იაფფასიანი წერილების ეს უნიჭო მჯღაბნელები?!

გ. მელაძე.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღე

ბუქარესტი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბუქარესტის არმიის თეატრში რუმინეთის შეიარაღებული ძალების მინისტრის არმიის გენერალ ემილ ბოდნარაშის თავმჯდომარეობით გაიმართა რუმინეთის დედაქალაქის მშრომელთა და სამეკრო გარნიზონის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღეს. კრებას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელნი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

კრების საპატიო თავმჯდომარედ ხანგრძლივი ოვაციით არჩეულ იქნა ამხანაგი ი. ბ. სტალინი. კრების მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით არჩევენ საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, აგრეთვე რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღის შესახებ მოხსენება გააკეთა შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ლეონტინ სელეჟანუმ.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში კრების დამსწრეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშა რუმინელი ხალხის საუკეთესო მეგობრის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. რამდენიმე წუთს გაისმოდა დარბაზში შეძახილები: „დიდება სტალინს!“, „სტალინს—ვაშა!“, „სტალინ!“. კრების მონაწილეებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს აგრეთვე მისასალმებელი წერილი რუმინელი ხალხის ბელადის გ. გეორგიუ-დეჟისადმი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღეს მიმართული სალამი

ბუქარესტი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ბუქარესტის არმიის თეატრში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ძალების მინისტრის ბრძანებით, ბ. ბოდნარაშის თავმჯდომარეობით გაიმართა რუმინეთის დედაქალაქის მშრომელთა და სამეკრო გარნიზონის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დღეს. კრებას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელნი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

კრების საპატიო თავმჯდომარედ ხანგრძლივი ოვაციით არჩეულ იქნა ამხანაგი ი. ბ. სტალინი. კრების მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით არჩევენ საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, აგრეთვე რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით.

დარბაზობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის პატივსაცემად

სოფია, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დარბაზობა გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გამო სოფიაში მყოფი საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც აკადემიკოსი კ. ი. სკრიაბინი მეთაურობს.

დარბაზობას დაესწრნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები რაიკო დიმიანოვი, ანტონ იუგოვი, მინჩო ნეიჩევი, გეორგი ცანკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ივანე მიხაილოვი, კარლო ლუკანოვი, მინისტრები, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის მთავარი მდივანი მიხეილ მანევი, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, აგრეთვე დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

საგაფიცვო მოძრაობა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული პრესა აქვეყნებს ცნობებს დასავლეთ გერმანიაში გაფიცვების შესახებ. გაფიცული არიან მეურნეობის მთელი რიგი დარგების მუშები, რომლებიც ფასების განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებით მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

მესამე დღეა გაფიცული არიან ფიუსელდორფის მიწის საწარმოთა მუშები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. 26 სექტემბერს გაფიცება დაიწყეს მებეტონე მუშებმა.

დუისბურგ-რურორტის ბენზინსაცავების მუშებმა 29 სექტემბერს დაიწყეს გაფიცვა, რათა მიაღწიონ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შედეგად მათთვის ჩამორთმეულ უფლებათა აღდგენას.

როგორც პრესა იუწყება, ქვემო საქსონიის 48.000 მელითონემ მოითხოვა ხელფასის გადიდება. ქვემოსაქსონელ მელითონეთა გაფიცვა დაიწყება 7 ოქტომბერს იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირის ხელმძღვანელობა და მეწარმეთა წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან მუშათა მოთხოვნების საკითხში. ამ გაფიცვის შედეგად მუშაობა შეწყდება 350 ლითონდამამუშავებელ საწარმოში, სადაც 80 ათასი კაცი მუშაობს.

წინააღმდეგობანი ბენილუქსის ქვეყნებს შორის

ჰააგა, 3 ოქტომბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ მუშახელი ჰოლანდიაში უფრო იაფია, ვიდრე ბენილუქსის სხვა ქვეყნებში, ჰოლანდიამ ბელგიისა და ლუქსემბურგის ბაზრები აავსო ადგილობრივზე უფრო იაფი საფეიქრო და სხვა საქონლით. ამის პასუხად ბელგიელმა და ლუქსემბურგელმა მრეწველებმა თავიანთი მთავრობებისაგან მოითხოვეს შეზღუდონ ჰოლანდიის საქონლის უბაჟო შეზიდვა ან სთხოვონ ჰოლანდიელ მრეწველებს, რომ მათ დააწესონ ისეთი ფასები, რომლებიც ბელგიისა და ლუქსემბურგის ფასებს შეესაბამებოდეს.

„დე ფოლკსტრანტის“ ცნობით, ჰოლანდიელმა მეფაბრიკეებმა, თავის მხრივ, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრს სთხოვეს დაიცვას მათი ინტერესები და არ დაუშვას ბელგიისა და ლუქსემბურგში ჰოლანდიის საქონლის უბაჟო შეზიდვის შეზღუდვა.

ჰოლანდიის პრესა იუწყება, რომ ეკონომიური წინააღმდეგობანი ჰოლანდიასა და ბელგიას შორის „ძალიან გაღრმავდა და საეჭვოა, რომ მალე მოხერხდეს მათი გადაჭრა“.

თეირანის რადიო ირანის პრემიერ-მინისტრის განცხადების შესახებ

თეირანი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო იუწყება, ირანის პრემიერ-მინისტრის კანცელარიამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ „თუ ინგლისის მთავრობა არ დაეთანხმა ირანის უკანასკნელ წინადადებებს (ყოფილ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის პრეტენზიების საკითხზე. რედ. შენიშვნა), ირანის მთავრობა იძულებული იქნება გამოიწვიოს თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები ინგლისიდან“.

როგორც ცნობილია, ვადა, რომელიც ირანმა ინგლისს მისცა პასუხისათვის, 4 ოქტომბერს გადის.

მდგომარეობა ეგვიპტეში

ლონდონი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგანგებო კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, დღეს ეგვიპტის სახელმწიფო საბჭომ (უმაღლესი სასამართლო) მხარი დაუჭირა ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებას „მისრის“ ბანკში ვაფდის პარტიის ანგარიშებზე 90.000 ეგვიპტური გირვანქის გაყინვის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, რამდენადაც ვაფდის პარტია არ დაემორჩილება ახალ კანონს პარტიების რეგისტრაციის შემდეგ მათი რეორგანიზაციის შესახებ, იგი დაშლილად ითვლება და არა აქვს უფლება ისარგებლოს ფონდებით, რომლებიც მას ეკუთვნოდა.

იმ პარტიების ფონდები, რომლებიც 8 ოქტომბრამდე რეგისტრაციაში არ გატარდება, კონფისკეტული იქნება.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი და დაანზიანეს 3.

„ამერიკის ჯარებო, წაეთრიეთ შინ!“

იაპონიის მშრომელთა მოთხოვნები

ტოკიო, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „აკახატა“ იუწყება, 25 სექტემბერს კობეში გაიმართა 20-ათასიანი მიტინგი, რომელზეც აზიის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით ჩაიარა. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს ლოზუნგებს: „ამერიკის ჯარებო, წაეთრიეთ შინ! ნუ დაამზადებთ, ნუ გადაზიდავთ და ხელში ნუ აიღებთ იარაღს აზიის ხალხთა მოსასპობად! კომპარტიის, მუშათა და გლეხთა პარტიისა და მემარცხენე სოციალისტური პარტიის ბრძოლის ერთიანი ფრონტისათვის!“.

27 სექტემბერს ოსაკაში გაიმართა მასობრივი მიტინგი მშვიდობის დასაცავად. მიტინგს, რომელიც კომპარტიამ მოაწყო, დაესწრო 35 ათასი კაცი.

საარჩევნო მიტინგის დროს, რომელიც კომუნისტური პარტიის კანდიდატმა აოიაგიმ მოაწყო აკაბანში (ტოკიო) კომპანია „ნიხონ სეიკოს“ სამხედრო ქარხანაში, ამერიკელმა ჯარისკაცებმა ფუმი ვაზნებით გატენილი ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს მიტინგის მონაწილეებს, რათა გაერეკათ მიტინგზე თავმოყრილი მუშები. 29 სექტემბერს ტოკიოში პოლიციელები ამერიკელი ჯარისკაცის, როგორც ჩანს ამერიკის კონტრდაზვერვის აგენტის მეთაურობით თავს დაესხნენ აოიაგის საგიტაციო სატვირთო მანქანას და დაჰპატიმრეს ორი აგიტატორი.

იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების შედეგების გამო

ტოკიო, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ეიუწყებოდით, 1 ოქტომბერს იაპონიაში მიმდინარეობდა პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები.

ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიამდე და მის მსვლელობაში მმართველმა ლიბერალურმა პარტიამ განაცხადა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ხელი შეეშალათ არჩევნებში დემოკრატიული ძალების მონაწილეობისათვის. საარჩევნო კანონი შეიცვალა. კერძოდ, შეცვლილი საარჩევნო კანონით წინასაარჩევნო კამპანიის ვადა 30 დღიდან შემცირდა 25 დღემდე, ხოლო საწინდარი, რომელიც კანდიდატებს შეჰქონდათ რეგისტრაციის დროს, 50 ათასი იენიდან გადიდდა 100 ათას იენამდე. შეცვლილი კანონით შეზღუდულია ბეჭდვითი ორგანოების ცნობები და კომენტარები არჩევნების შესახებ. ეს დებულება პირდაპირ მიმართული იყო კომპარტიის წინააღმდეგ, რამდენადაც ლიბერალური, პროგრესული და სხვა ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების განკარგულებაშია გამოცემათა დიდი ქსელი.

ამასთან ერთად კომპარტიისა და დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ დასახელებული კანდიდატების მიმართ ხორციელდება აშკარა ტერორი. მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გაზეთები სავსე იყო ცნობებით დემოკრატ კანდიდატთა და იმ პირთა დაპატიმრების შესახებ, რომლებიც მათს სასარგებლო აგიტაციას ეწეოდნენ. აღნიშნულ იქნა საარჩევნო კანონის მრავალი დარღვევა.

წინასწარი ცნობებით ქვედა პალატის 466 ადგილი განაწილდა შემდეგნაირად: ლიბერალურ პარტიას აქვს 240 ადგილი, პროგრესულ პარტიას—84, მემარჯვენე სოციალისტურ პარტიას—57, მემარცხენე სოციალისტურ პარტიას—54, მუშათა და გლეხთა პარტიას—4, „თანამშრომლობის პარტიას“—3, წვრილ პარტიებს—5, დამოუკიდებლებს—19. არჩეულთა შორის 136 კაცმა წინათ წმენდა განიცადა (ესე იგი იაპონიის აგრესიაში მონაწილეობისათვის ჩამოშორებულ იქნა საზოგადო მოღვაწეობას).

მიუხედავად იმისა, რომ კომპარტიამ არჩევნების მსვლელობაში 822.540 ხმა შეაგროვა, ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონისა და იმ დაბრკოლებათა შედეგად, რასაც მის კანდიდატებს უქმნიდნენ, პალატაში ადგილები ვერ მიიღო.

ეიზენჰაუერს საკაძრის პასუხს აძლევენ

რიგითი ამერიკელი ქალის წერილი გაზეთ «ნეიშნლ გარდიანში»

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი) გაზეთმა „ნეიშნლ გარდიანმა“ დაბეჭდა ქალაქ არგოს (ილინოისის შტატი) მცხოვრების, თავისი მკითხველის ვერა ტერნერის წერილი, ამასთან მოათავსა ნახევრად დანგრეული ქოხის სურათი, სადაც ტერნერთა ოჯახი ცხოვრობს.

წერილში მოყვანილია პირი მიმართვისა, რომელიც ტერნერმა ეიზენჰაუერს გაუგზავნა. მიმართვაში ნათქვამია: „ამერიკის ლეგიონის ყრილობაზე წარმოთქმულ თქვენს სიტყვას „განთავისუფლების“ შესახებ (ლაპარაკია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ გამოსვლაზე.—**რედ.**) ჯერ კიდევ ფართოდ განინილავენ, რადგან ძან დიდი შიში და შეშფოთება გამოიწვია. ჩემი აზრით, განთავისუფლება, ისევე როგორც ქველმოქმედებაც, საკუთარი ქვეყნიდან უნდა დავიწყოთ. წერილთან ერთად გიგზავნით ერთთოთახიანი ჭუჭყიანი ქოხის სურათს, რომელსაც ჩემი ქმარი, მე და ჩვენი ორი პატარა ქალიშვილი სახლს ვეძახით მე ძალიან მსურს გავთავისუფლდე ამ ქოხისაგან, მსურს გავთავისუფლდე ზანგთა დისკრიმინაციის პოლიტიკისაგან. მსურს გავთავისუფლდე ატომური ომის, უმუშევრობის, ბავშვთა სიდამბლისა და ტუბერკულოზის შიშისაგან, იმ გავლენის შიშისაგან, რომელსაც ჩემი პატარა გოგონების ცხოვრებაზე ახდენს რასობრივი დისკრიმინაცია და „ცივი ომის“ სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდა განათლება, მსურს გავთავისუფლდე ატომური განგაშისაგან.

მე მაინც არა მსურს, რომ უცხოეთის რომელიმე სახელმწიფომ დაიწყოს ჩემი განთავისუფლება სამხედრო ძალის გამოყენებით ან ჩემი მთავრობის წინააღმდეგ „აჯანყებათა გამოწვევით“, ე. ი. ისე, როგორც თქვენ და სენატორი მაკარენი გვირჩევთ მოვიქცეთ სხვა ქვეყნებში.

მე მიმაჩნია, რომ მშვიდობის დამყარებით ჩვენ შეგვძლები საკუთარი პრობლემების გადაჭრას. ამიტომ მიმაჩნია, რომ სხვა ქვეყნებში მყოფ დედებს იმავე მიზნის გამო, უეჭველად სურთ, რომ მათ მისცენ შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები, განსაკუთრებით კორეაში. ჩვენი დემონსტრაციის შემდეგ, მტკიცედ მწამს, რომ არც ერთ სხვა ხალხს არა სურს მოვსპოთ — უკაცრავად—„გავათავისუფლოთ“—ისინი“.

საქართველოს სსრ-ში ბრძოლა ბრბოს-ოლიმპიადა

სპორტული საზოგადოება „დინამოს“ კორტებზე დამთავრდა შეჯიბრება ჩოგბურთში საქართველოს 1952 წლის პირადი პირველობისათვის.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის, თბილისისა და ქუთაისის ოლქების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის 40-მდე უძლიერესმა ჩოგბურთელმა.

შეჯიბრების პირველი ეტაპი 8 უძლიერესი ჩოგბურთელი ქალისა და ამდენივე ჩოგბურთელი ვაჟის გამოსავლინებლად მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით, ხოლო დასკვნითი ასპარეზობა — წრიული სისტემით.

ათი დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ ქალთა შორის საქართველოს 1952 წლის ჩემპიონის წოდება ჩოგბურთში მოიპოვა კ. მინაევამ, ვაჟთა შორის — სპორტის ოსტატმა ი. ელერდაშვილმა.

ჩოგბურთელ ქალთა წყვილებში პირველი აღგილი დაიკავეს კ. მინაევამ და ლ. აირაპეტოვამ, ვაჟთა წყვილებში—ახალგაზრდა სპორტსმენებმა გ. ჩახუნაშვილმა და რ. აივაზოვმა.

შერეულ წყვილთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ კ. მინაევა და ი. ელერდაშვილი.

გამარჯვებულებს გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომები.

სეზონის გახსნა სომხური დრამის თეატრში

დღეს, 4 ოქტომბერს, თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი ხსნის სეზონს სტალინური პრემიის ლაურეატის სამედ ვურგუნის პიესით „ვაგიფი“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ ფ. ბეიკიანს, მხატვრული გაფორმება—მხატვარ რ. ნალბანდიანს.

სეზონის პირველ ნახევარში თეატრი მაყურებელს უჩვენებს სამ ახალ სპექტაკლს. პირველად წავა ვ. ფაფაზარიანის პიესა „ფრიალო კლდე“, რომელშიც ძოთხრობილია რევოლუციამდელი სომხური სოფლის ცხოვრება. პიესას დგამს რეჟისორი ფ. ბეიკიანი, მხატვრულად აფორმებს მ. კარაკოსიანი. პარალელურად თეატრი მუშაობს ახალგაზრდა თურქენი დრამატურგის, სტალინური პრემიის ლაურეატის ჰუსენ მუხტაროვის პიესაზე „ოჯახის ნამუსი“. სპექტაკლს დგამენ რეჟისორები მ. ბაბლოიანი და ფ. ბეიკიანი, მხატვარია რ. ნალბანდიანი.

მესამე დადგმისათვის თეატრმა აირჩია სტალინური პრემიის ლაურეატის სანდრო შანშიაშვილის დრამა „ხევსბერი გოჩა“.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 3/X მოწინავე — დიდი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში.

საერთო სათაურით „ქართველი ხალხი შრომითი გმირობით“ ეგებება პარტიის XIX ყრილობას“ წერილები: ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა შეასრულა აღებული ვალდებულება. კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის ახალი წარმატება. პირობა განაღდებული.

მეორე გვერდი — ზ. პლატკოვსკი — კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ.

საერთო სათაურით „მეცადინეობის პირველი დღეები პარტიული განათლების ქსელში“ წერილები: არ გავიმეოროთ გასული წლის შეცდომები. რესპუბლიკის ქალაქებში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მესამე გვერდი — საერთო სათაურით „საყვარელი პარტიის წინამძღოლობით“ წერილები: ლ. ლალიძე — ორთოპედიული ჰიდროელსადგურის მშენებელთა გამარჯვება. ვალდებულებები შესრულებულია. გ. პეტრიაშვილი — კომუნისტი მესვეურები. ვ. ტატიშვილი — ოცნების შესრულება. ა. რიგვავა — ჩვენი კოლმეურნეობა მეხუთე ხუთწლედში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექცია 1952 წლის 10 ოქტომბრიდან 10 დეკემბრამდე საქართველოს სს რესპუბლიკაში აწყობს მთელი ავტო-მოტოტრანსპორტის, რეზინის შინებიანი ტრაქტორ